

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1 2 2 6

ქ. ბათუმი, 11 სექტემბერი 2017 წ

**ქ. ბათუმში, დასახლება ურეხში მდებარე 3000,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე აღნაგობის უფლების საფუძველზე აშენებულ 3032,08 კვ.მ შენობა-ნაგებობებზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 23 ივნისის №256 ბრძანების საფუძველზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის 2015 წლის 06 აგვისტოს გაფორმებული უსასყიდლო აღნაგობის ხელშეკრულებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის, საბავშვო ბაღის მშენებლობის მიზნით, აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემულ ქ. ბათუმში, დასახლება ურეხში მდებარე 3000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.25.08.109) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების (N01; N02; N03) მშენებლობა, საერთო ფართობით 3032,08 კვ.მ., საიდანაც შენობა N1-ის ფართობი შეადგენს 2880,34 კვ.მ-ს, შენობა N2-ის - 140,69 კვ.მ-ს, ხოლო, შენობა N3-ის - 11,05 კვ.მ-ს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 234-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღნაგობის უფლების საფუძველზე აშენებული ნაგებობა ითვლება აღნაგობის უფლების არსებით შემადგენელ ნაწილად და რეგისტრირდება აღნაგობის უფლების მქონე პირის საკუთრებად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, შეძენილი ან რეგისტრირებული ქონება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ხსენებული 3032,08 კვმ საერთო ფართობის შენობა-ნაგებობები წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილ ქონებას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 234-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის (აღნაგობის უფლების მქონე) საკუთრების უფლებით, როგორც აღნაგობის უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილი, დარეგისტრირდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში, დასახლება ურეხში მდებარე 3000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.25.08.109) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აშენებული 3032,08 კვ.მ. საერთო ფართობის

შენობა-ნაგებობები (შენობა N1 - 2880,34 კვ.მ; შენობა N2 - 140,69 კვ.მ; შენობა N3 - 11,05 კვ.მ.).

2. ეთხოვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განახორციელოს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში.

3. ბრძანების შესრულება დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურს (ე. ლომაძე).

4. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი №61001010495).

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30), მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი